

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს  
ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველების“  
კახაბერ გუჯაბიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 24 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ სხდომა.

დანართი: ოქმი N 1-8(რვა) ფურცელი

პატივისცემით,

კახაბერ გუჯაბიძე



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველები"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველები“  
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

24.02.2017 წელი  
17.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველები“ თავმჯდომარე  
კახაბერ გუჯაბიძე.

ფრაქციის წევრები: ამირან ქანთარია, აკაკი იმნაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის  
მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გოგი ფაცურია და საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე  
რომან ბიწაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ გუჯაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების  
შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი რ.ბიწაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების  
შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის  
წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის  
31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო  
დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

4. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი კ.გუჯაბიძე/

7. სხვადასხვა.

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილების აუცილებლობა განაპირობა მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ, რომლის მიხედვითაც დაკონკრეტდა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა/შეცვლა, დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ ინიციატივის განხილვა და შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენა უნდა მოხდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. ამასთან, მან განმარტა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ აღნიშნული საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და შესაბამისი დასკვნა საკრებულოს თავმჯდომარეს მიეწოდება უახლოეს დღეებში.

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრებმა მოიწონეს შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-ე მუხლში შევიდა ცვლილება („სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე N99; 2016 წლის 16 დეკემბერი) და განისაზღვრა ახალი განაკვეთები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი პირებისათვის. ზემოაღნიშნული ცვლილება მოითხოვს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება“, N34-ის მე-5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს კანონთან შესაბამისობაში. სამსახურმა შეიმუშავა და მიზანშეწონილად მიაჩნია სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით მოსაკრებლის განაკვეთები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

- ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე - კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;
- ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი;
- გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;
- დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000 (ორასომოცდაათი ათასი) ლარი;
- ე) ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 %.
- ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 3000 (სამი ათასი) ლარი;
- ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

ამასთან, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ ახალი კანონის მიხედვით განსაზღვრულია მოსაკრებელი თანხის მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა. რადგან ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ასეთი დაწესებულებები არ ფუნქციონირებს, ამიტომ მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრა მინიმალური ოდენობით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით.

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრეპ,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განაკვეთები არ შეცვლილა და იგი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ა). ქალაქ ლანჩუთის მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 9.12 ლარს.

ბ) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 3.12 ლარს.

გ) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ლანჩუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

დ) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყლამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

ე) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს.

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:**

**მომხრეპ,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის

აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ.

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2-ჯერ

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5-ჯერ

დ) იმ აქტივებზე რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნება ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების ღირებულების 2 პროცენტი  
100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში:

- 1) სათიბი ( ბუნებრივი და გაკულტურებული)-20 ლარი/ჰა
- 2) საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)- 16 ლარი/ჰა
- 3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)- 73 ლარი/ჰა
- 4) საკარმიდამო-73 ლარი/ჰა
- 5) სათიბი- 20 ლარი/ჰა
- 6) საძოვარი- 16 ლარი/ჰა
- 7) სახნავი- 73 ლარი/ჰა

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსები (მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი, რომელმაც ერთ ჰექტარზე შეადგინა - 3 ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვრა შემდეგი ოდენობით ლარებში:

1)ქ.ლანჩხუთი- (წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.24 ლარი

2)ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლები ( წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.216 ლარი

ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებას ექვემდებარება:

საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ.-ს

ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ.-ს.

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრეპ,წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შევიდა ცვლილება - დაემატა ოთხი ობიექტი, რომელთა გადატანა ვერ მოხდა ქონების პრივატიზაციის გეგმაში, რადგან ამ ეტაპზე აუდიტის მიერ არ არის განსაზღვრული მათი ღირებულება. ეს ობიექტებია: ქვემო აკეთში საბავშვო ბაღის შენობა, რომლის მშენებლობა დაწყებულია წლების წინ, მაგრამ დაუსრულებელია. შენობა ნადგურდება და დანგრევის პირასაა; ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დამწვარი ადმინისტრაციული შენობა თავისი მიწის ნაკვეთით; მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი უნივერსიტეტის შენობა; გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობა. აუდიტის მიერ განისაზღვრება თითოეული ამ ობიექტის ფასი, რის შემდეგაც მოხდება მათი გადატანა ქონების პრივატიზაციის გეგმაში და შესაბამისად, გატანილ იქნებიან აუქციონზე. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე დაინტერესდა, რომ აღნიშნული ოთხი ობიექტის გარდა შესაძლებელია თუ არა საპრივატიზაციო ნუსხას დაემატოს კიდევ სხვა ობიექტები და საკმარისია თუ არა გათვალისწინებული 10 000 ლარი მიმდინარე წლის განმავლობაში აუდიტორული მომსახურების განსახორციელებლად.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია**მ განმარტა, რომ საპრივატიზაციო ნუსხას აუცილებლად დაემატება კიდევ სხვა ობიექტები. აღნიშნული თანხა კი მისი აზრით, ნამდვილად არ არის საკმარისი ამ კუთხით აუდიტორული მომსახურების ჩასატარებლად. გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურმა წერილით მიმართა შესაბამის სამსახურს, რომ ჩატარდეს ტენდერი. ფინანსების განკარგვა თუ მოხდება ტენდერის საშუალებით, მაშინ შესაძლებელი იქნება მოთხოვნის შესაბამისად გაიზარდოს თანხის რაოდენობა. მცირე

ფინანსები ქმნის სერიოზულ პრობლემას, ამიტომ დაისვა საკითხი, რომ როგორც აზომვით ნახაზებზე, ასევე შეფასებებთან დაკავშირებით გამოცხადდეს ტენდერი, რომელიც გაითვალისწინებს მთელი წლის განმავლობაში აუდიტორული მომსახურების განხორციელებას.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრეპ,წინააღმდეგი არცერთი.


დღის წესრიგის მეექვსე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის საჯარო მოხელეების უწყვეტი სწავლებისათვის ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებულია მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით ამ კუთხით ბიუჯეტში ასახულია სახელფასო ფონდის 1 %, რაც საერთო ჯამში შეადგენს 16 900 ლარს.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს: მომხრეპ,წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ თავმჯდომარე:  კახაბერ გუჯაბიძე.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“  
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 თებერვალს 2017 წელი  
17.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ გუჯაბიძე		
2	აკაკი იმნაიშვილი		
3	ამირან ქანთარია		